დანართი №2

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ინფორმაციის ტექნოლოგია” დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე

წევრი: ცოტნე ქორჩილავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ბლექსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის №651086 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ცოტნე ქორჩილავა - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯის „ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ-კოლეჯის "ბლექსი" ქედის მუნიციპალიტეტის მისამართზე, 2023 წლის 20 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში, აკაკი წერეთლის ქ. №4.
ვიზიტი წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგანმანამათლებლო პროგრამის განხორციელებისთის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების სამკითხველო სივრცეში არსებობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა სსიპ-კოლეჯის "ბლექსი“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს და პროფესიულ მასწავლებლებს.
დღის ბოლოს ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულება იმატებს ახალ პროგრამას

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	საბაზო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის ბრძანება №637053 02.06.2023
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, აკაკი წერეთლის ქ. №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მორგებულია შრომის ბაზარის მოთხოვნებზე. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ 2019-2026 წლებში, სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, კოლეჯი მიზნად ისახავს პრიორიტეტული მიმართულების პროგრამების გამრავალფეროვნებას და მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას. კოლეჯის 2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო ქედის მისამართზე პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელება, რომელიც მაღალმოთხოვნადია აპლიკანტთა და სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები. კოლეჯის ქედის მისამართზე ახალი პროგრამის დამატების პერსპექტივიდან გამომდინარე, ქედის მისამართზე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერმა ქედის მუნიციპალიტეტის სახელწიფო/ მუნიციპალურ ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, ჩაატარეს გამოკითხვა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით. ყველა გამოკითხულმა ორგანიზაციამ დაადასტურა კადრების დამატების საჭიროება IT მიმართულებით. კოლეჯის თანამშრომლების მიერ მუნიციპალიტეტის სკოლებთან/მოსახლეობასთან გამართულ შეხედრებში, აღნიშნული მიმართულება ასევე, იდენტიფიცირდა, როგორც მოთხოვნადი სპეციალობა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ IT პროგრამებს კოლეჯი 2010 წლიდან ახორციელებს და ამ მიმართულებით კარგი მიღწევებიც გააჩნია. კოლეჯში 2010 წლიდან ფუნქციონირებს Cisco - ს საერთაშორისო ქსელური აკადემია. ,,ბლექსის“ IT აკადემია კვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული. კოლეჯს ჰყავს ხუთი Cisco - ს ინსტრუქტორი. მათ შორის ორი განსაზღვრულია ქედაში პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლად კოლეჯის ქედის მისამართზე. („ინფორმაციის ტექნოლოგიის“ მოდულური პროგრამა იმგვარადაა შედგენილი, რომ ის პროფესიულ სტუდენტებს პარალელურად Cisco - ს სასწავლო რესურსების გამოყენების საშუალებას და აკადემიის სერტიფიკატის მოპოვების საშუალებას აძლევს). იმ მასწავლებლეებს, კი რომლებიც არიან ინსტრუქტორები მიეცემათ Cisco - ს სასწავლო რესურსების გამოყენების შესაძლებლობა.

ამრიგად, კოლეჯის გადაწყვეტილება ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება მის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - ეს არის საბაზო განათლება. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურა - დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებით. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. რეგულაციით გათვალისწინებულია სსსმ პირთა ჩარიცხვის წესი და პროცედურა, ჩარიცხვის წესის შესაბამისად, კოლეჯი ყოველწლიურად ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასების ეტაპებისა და მეთოდების განსაზღვრის წესს. წესის შესაბამისად, 2023 წლის მიღებაზე პროფესიული სტუდენტების კოლეჯში ჩარიცხვა განხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ მოტივაციური გასუბრების საფუძველზე - მოტივაციური გასაუბრების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აპლიკანტების მხრიდან პროგრამაზე სწავლის მოტივაციასა და მზაობას, ინფორმაციის ფლობას პროფესიის შესახებ, პროფესიასთან დაკავშირებული ღირებულებებსა და პიროვნული მახასიათებლებს, პროფესიის დაუფლებასთან დაკავშირებული გეგმებს.

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და კანონმდებლობით დარეგულირებული პროცედურები უზრუნველყოფენ პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ მატერიალურ, ადამიანურ რესურსებს, პროგრამის განხორციელების მიდგომას, პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნადობას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებით ფაქტორებს. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობა არის - 24 (ოცდაოთხი) პროფესიული სტუდენტი ეფუძნება სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. განაცხადის დანართის სახით წარმოდგენილია ინფორმაცია თუ, როგორ იქნა გაანგარიშებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა. პროგრამისათვის გათვალისწინებულია 2 გარემო. A/C და B გარემო. მათ შორის, B გარემო შეგვიძლია განვიხილოთ როგორც C გარემო. ის ასევე, გამოყენებული იქნება მეფუტკრეობის დუალურ პროგრამაზე ,,ინფორმაციული წიგნიერების" მოდულის სწავლებისათვის. მიუხედავდა იმისა, რომ A გარემოს ფართი იძლეოდა 14 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას, ჯგუფში 12 პროფესიული სტუდენტის მოთხოვნა განაპირობა B გარემოს ფართმა, სადაც რეალურად 12 სტუდენტზე მეტი ვერ განთავსდება. პროგრამაზე გარემოთა ოდენობა იძლევა იმის საშუალებას რომ ერთდროულად განხორციელდეს ორ ჯგუფში სწავლება. დაწესებულების რეგულაციით სწავლება შესაძლებელია ორ ცვლაში და შეჭრილი გრაფიკითაც. ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სწავლების გრაფიკის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები და შესაბამისად გრაფიკი მორგებული იქნება მათ მოთხოვნებზე.

ამრიგად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის რეკომენდაციებთან და ის გათვლილია ჯგუფში 12 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამის მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი იქნება მოდულების სწავლის შედეების მიღწევა. კოლეჯში ფუნქციონირებს cisco – ს საერთაშორისო ქსელური აკადემია, რომლის სასწავლო რესურსი ასევე, გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისათვის.

ამრიგად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული რესურსი (მატერიალური, ადამიანური, სასწავლო რესურსი) იძლევა შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულს არ ითვალისწინებს

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (29-ე მუხლი) პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად, წარმოდგენილი მოდულური პროგრამა, „ინფორმაციის ტექნოლოგია“, დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“ დირექტორის მიერ.
ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**
პროგრამის სახელწოდება „ინფორმაციის ტექნოლოგია“ შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“.
ამრიგად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლების მიერ, სხვა განმახორციელებლებთან და და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან თანამშრომლობით. აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტების გადამოწმებით, კერძოდ კოლეჯის დირექტორის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებით, სამუშაო შეხვედრების ხელმოწერილი ფურცლებით, სამსახურებრივი ბარათებით. საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ სრულ შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით დამტკიცებულ ((ბოლო ცვლილება - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება №086974). პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან „ინფორმაციის ტექნოლოგია“ და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაკავშირებულ კოლეჯის მიერ დადგენილ რეგულაციასთან (სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანებასთან (ცვლილებებით).

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“ დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანებით (ცვლილებებით);
- „სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ - დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-02/ 150 ბრძანებით (ცვლილებებით);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებიული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/ 139 ბრძანებით (ცვლილებებით);
- ,,მოდულური პროგრამის ინფორმაციის ტექნოლოგია შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის ბრძანებით - №499174;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე - http://blacksea.edu.ge.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, თავი N3, პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ჩარიცხვის წესი (ცვლილება: სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის ბრძანება 01.06.2023, N631528);
- კოლეჯის 2019-2026 წლების სტრატეგული განვითარების გეგმით (№01-02/152; 2019);
- კოლეჯის 2023 წლის სამოქმედო გეგმით (№35459714; 02.2023);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერებამ და შესყიდვის დოკუმენტაციის გადამოწმებამ აჩვენა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 12 პროფესიული სტუდენტი), ჯამში - 24 პროფესიული სტუდენტი (2 ჯგუფი). დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთი A/C გარემო 12 პროფესიულ სტუდენტზე და ერთი B გარემო ასევე 12 პროფესიულ სტუდენტზე. ორივე გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 12 პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, პროექტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს და გარკვეული რესურსების ნაწილში იმაზე მეტიცაა, ვიდრე ამას საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს.

ამრიგად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, 5 ზოგადი მოდულის და 4 პროფესიული მოდულის. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის №01-02/254 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,ბლექსი“ თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები“, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ქედის მისამართზე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წამოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 9 განათლების მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 4 განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა დამტკიცება მოხდება სწავლის დაწყებამდე სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის ბრძანებით.
ამრიგად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ მოქმედი დოკუმენტის - „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება“ მიხედვით პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის გათვალისწინებით. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში დაცული დოკუმენტების გადამოწმება, რის შედეგადაც გაირკვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ერთ-ერთი განმახორციელებელი მასწავლებელი შერჩეული იქნა კონკურსის წესით. პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევისას გათვალისწინებული იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ფუნქცია - მოვალეობები და მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციის არსებობა. განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებამ, ასევე მათ პირად საქმეებში დაცულმა დოკუმენტებმა აჩვენა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების უმეტეს ნაწილს აქვს ანალოგიურ ან სხვა მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების გამოცდილება. კერძოდ, 9 მასწავლებლიდან 7 მასწავლებელს აქვს კოლეჯში მოდულურ სწავლებისა და შეფასების გამოცდილება. ყველა მასწავლებელს (მათ შორის ახლად შერჩეულებს) გავლილი აქვთ ტრენინგები (პროგრამის სპეციფიკა და მოდულის სტრუქტურის გაცნობა; ეფექტური სწავლების მეთოდები პროფესიულ განათლებაში; შეფასება პროფესიულ განათლებაში), ასევე კონსულტაციები სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებით. ყველა მათგანთან დადებულია შეთანხმება შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.
ამრიგად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათი გადაწყვეტილება, განაპირობა იმან, რომ პროგრამის ერთი ხელმძღვანელი არის კოლეჯში, ბათუმის მისამართზე, ანალოგიური პროგრამის ხელმძღვანელი. ამავე დროს ის არის დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი: CISCO - ს ინსტრუქტორი, ზოგადტექნიკური დისციპლინების, შრომის, ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის მასწავლებელი, ასევე გააჩნია დარგის მიმართულებით კოლეჯში პროფესიული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებაც. ხოლო მეორე ხელმძღვანელი, რომლის შერჩევა, როგორც პროფესიული მასწავლებლის მოხდა კონკურსის წესით, არის დარგის პრაქტიკოსი, კვალიფიციური კადრი, თუმცა, ამ ეტაპზე არ აქვს მოდულური პროგრამის სწავლების და ხელმძღვანელობის გამოცდილება. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება კოლეჯის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას პროგრამისათვის ორი ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ.
ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი არის ელექტრონული და ის ხელმისაწვდომია კოლეჯის ქედის მისამართზე არსებულ სამკითხველო ოთახში. სამკითხველო ოთახში სამუშაო სივრცე არის აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი - ზოგადი/პროფესიული მოდულების შესაბამისი ლიტერატურა ელექტრონული სახით. სამკითხველო ოთახში არსებული სასწავლო რესურსი ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად. ასევე, ელექტრონული კატალოგი ასახულია კოლეჯის ვებ - გვერდზე http://blacksea.edu.ge/ OPENBIBLIO - ში. კოლეჯში განსაზღვრულია სამკითხველო ოთახის ფუნქციონირებასა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი. თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციით სამკითხველო ოთახის ფუნქციონირების მხარდაჭერა ევალება სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერის სპეციალისტს.

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/139 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (ცვლილებებით) გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებთან. ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული თანამშრომლების პოზიციები და რაოდენობა იცვლება საჭიროების მიხედვით (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად). მოცემულ ეტაპზე კოლეჯს ჰყავს ერთი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, ორი სასწავლო პროცესის ასისტენტი, ასევე ჟესტური ენის თარჯიმნები. ქედის მისამართზე სსსმ პირის ჩარიცხვის შემთხვევაში კოლეჯი დაიმატებს შესაბამის კადრს. მსგავსი გამოცდილება არსებობს როგორც ბათუმის ასევე, შუახევის მისამართებზე. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების გათვალისწინებით მორგება, ხოლო, სასწავლო პროცესის ასისტენტის ფუნქციაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კოლეჯის სტუდენტების/ მსმენელებისთვის მხარდაჭერა სასწავლო პროცესის განხორციელების დროს. ამასთან, კოლეჯი მზადაა აიყვანოს საჭირო რაოდენობით სპეციალისტების კოლეჯის ქედის მისამართზე სსსმ პირთა მხარდაჭერის მიზნით.

ამრიგად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად. ასევე, კოლეჯი დამატებით ფინანსდება სხვა სახსრებით (პროგრამული ბიუჯეტი), რომლის დაფინანსებაც, როგორც სხვა პროგრამებისთვის, ასევე, გამოყენებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

იქნება წარმოდგენილი პროგრამისთვისაც. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად კოლეჯს შემუშავებული აქვს მოდულური პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ბიუჯეტი, რომლის შემოსავლის ნაწილი მოიცავს სწავლის საფასურს და სხვა სახის შემოსავლებს, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, მასალა ნედლეულის ხარჯი, ძირითადი საშუალებების ცვეთა, არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება, საკანცელარიო/საოფისე ხარჟი, სასწავლო ექსკურსია, პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, დიპლომების/დანართების დამზადება და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამა რენტაბელურია - 7 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში.

ამრიგად, ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი “ დირექტორის 2021 წლის 27 მაისის №01-02/121 ბრძანებით;
- პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მოთხოვნილი კვოტის დასაბუთებით;
- სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“ დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანება (ცვლილებებით);
- სსიპ - კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2023 წლის 02 ივნისის ბრძანებით №637053 ქედის მუნიციპალიტეტში განსახოციელებელი „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.
- ინფორმაციით პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- სამკითხველო ოთახში არსებული ელექტრონული სასწავლო რესურსით;
- პროგრამის ბიუჯეტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ დირექტორის 2023 წლის 10 მარტის №275519 ბრძანებით ქედის მუნიციპალიტეტის მისამართებზე სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ კონკურსის გამოცხადების შესახებ და საკონკურსო მასალებით;
- ინტერვიუირებით;
- საგანმანათლებლო სივრცის და მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა” ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე“ მოდელს. აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი დოკუმენტია - „სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვი ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში მოხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები.

ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ მოქმედი რეგულაციები - „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა”, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის სამსახურის მიერ 2022 წელს შეფასდა ბათუმის მისამართზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხია ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე გადამუშავდა პროგრამა: შეიცვალა სასწავლო გეგმა იმგვარად, რომ თანაბრად გადანაწილდა ზოგადი და პროფესიული მოდულები, პროფესიული მოდულები კი იმგვარად გადანაწილდა, რომ გააზრებული იქნა შუალედური შეფასების ჩატარების პერიოდი და შეფასებამდე მისაღწევი სწავლის შედეგები. რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შეიცვალა შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, შეფასების მეთოდები, სასწავლო რესურსი. ქედის მისამართზეც „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების შემთხვევაში კოლეჯი გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

ამრიგად, კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“-თ დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-02/ 150 ბრძანება(ცვლილებებით);
- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2021 წლის 04 თებერვლის №01-02/22 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილებებით) ,,სსიპ კოლეჯში,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“;
- სხვადასხვა ტიპის კითხვარები;
- კვლევების მეთოდოლოგია განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე - http://blacksea.edu.ge/

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროგრამის განმახორციელებელთა რეკომენდაციები. კოლეჯს, ასევე, აქვს შემუშავებული კალენდარული გეგმის ფორმა, რომლის საფუძველზეც მოდულის დაწყების წინ პროფესიული განათლების მასწავლებლები გეგმავენ პროცესს. პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეული მოდულის დაწყებამდე შემუშავებულ კალენდარულ გეგმას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) საშუალებით შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერს ქედის მისამართზე, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს კალენდარული გეგმის შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან; პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლის შედეგების მიღწევის გზებს დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად განსაზღვრავს, რომელიც აუცილებლად ასახული უნდა იყოს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის წარმოდგენილ კალენდარულ გეგმაში. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელი კონკრეტული მოდულის დასრულების შემდეგ, კომენტარებიან კალენდარული გეგმას გადასცემს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომელს შემდგომი ანალიზისთვის.
ამრიგად, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

კოლეჯი სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა ცვლაში ქედის მისამართზე არსებულ სასწავლო დაწესებულებაში, რითაც შესაძლებელია სტუდენტთა უმრავლესობის ინტერესების გათვალისწინება. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის რეგულაციის შესაბამისად, ეპიდემიის/ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისგან განსხვავებულად, რაც დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტ(ებ)ით და გათვლილ იქნა კონკრეტულ გარემოებებსა და პერიოდებზე. ამავე წესით რეგულირდება ფორს - მაჟორული გარემოებებიდან გამომდინარე ინდ. გეგმების შემუშავების საკითხიც.

ამრიგად, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

ზოგადი და დარგობრივი მოდულების სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების - თანამშრომლობითი, ჯგუფური, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების და ა.შ. გამოყენებას. ამასთან, კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით, ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი აწარმოებს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალი გამოწვევაა კოლეჯისათვის ქედის მისამართზე და ამ მიმართულებით შერჩეულია ახალი მასწავლებლები, ჩატარებული ტრენინგების გარდა კოლეჯი გეგმავს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ტრენინგების ჩატარებას სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. 2023 წლის სამოქმედო გეგმით და კოლეჯის ბიუჯეტითაც გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად; პროგრამის ფარგლებში ასევე, გამოყენებული იქნება cisco - ს ქსელური აკადემიის სასწავლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ამრიგად, პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, როგორც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ესაჭიროებათ ისგ - ის მიხედვით სწავლება (მაგალითად მობილობით გადმოსული ან სტატუსაღდგენილი პირები). სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ასევე სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები და ეს საჭიროებისთანავე ამოქმედდება ამ პროგრამაზეც. კოლეჯს ასევე შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქცია. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები გათვალისწინებულია აგრეთვე კოლეჯის ქედის მისამართზე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერის სპეციალისტის სამსახურეობრივ ინსტრუქციაში, რომლის მიხედვით მას ევალება პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებებში ჩართულობა, მათი ინფორმირება/კონსულტირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში.
ამრიგად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევა პარტნიორ ორგანიზაციაში.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი უნდა იქნას პროგრამის შესაბამისი უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,ბლექსი'' თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' 2020 წლის 29 დეკემბრის №01-02/01-02/245 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" დამატებით უსაფრთხოების წესების შემუშავებას არ საჭიროებს

ამრიგად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია" - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2021 წლის 03 ივნისის №01-02/134 ბრძანებით;
- ,,კალენდარული გეგმის შემუშავებისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ'' სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი'' დირექტორის 2022 წლის 11 მარტის N01-02/41 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2022 წლის 13 აპრილის №01-02/58 ბრძანება;
- ინდ. სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში) - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის 301-02/139 ბრძანება (ცვლილებებით);
- ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №01-02/114 ბრძანება;
- ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,ბლექსი" თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები" - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის №01-02/ 254.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სსიპ კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის, შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულების მიმართ წაყენებული მოთხოვნების, შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმების (ვალიდაციის), შეფასების ადმინისტრირების, პროფესიულ სტუდენთა ინფორმირების, განმეორებითი შეფასების საკითხები დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით - შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღწევების შეფასების ინტრუქციით, რომელიც კოლეჯმა შეიმუშავა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე. კოლეჯში ასევე, შემუშავებულია ვერიფიკაციის სამუშაო გეგმა, დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. დაწესებულებამ შეიმუშავა რეგულაცია, რომლის მიხედვით ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს ითანხმებს დარგის სპეციალისტი და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი/პირები მის ტექნიკურ მხარეს ამოწმებს. არსებული რეგულაციის შესაბამისად სტუდენტი ინფორმირდება შეფასების წესის, პროცედურის თაობაზე. ასევე, ინფორმირებულია შეფასების კრიტერიუმების შესახებ. დაწესებულებას შეფასების სისტემით გათვალისწინებული აქვს შუალედური შეფასების ჩატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №01-02/213 ბრძანებით დამტკიცებული შუალედური შეფასების წესის მიხედვით შულედური შეფასება უკვე ჩატარდა არა ერთ პროგრამაზე კოლეჯის სხვადასხვა მისამართებზე. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნული რეგულაციების მიხედვით ჩატარებული აქტივობების ამსახველ დოკუმენტებს კოლეჯის ქედის მისამართზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ მაგალითზე.
ამრიგად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯმა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განახლება განახორციელა - შეიმუშავა მოცულობითი რეგულაციები, მათ შორის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღწევების შეფასების ინტრუქცია განაახლა გამოკითხვის ფორმები, მეცადინეობის ანალიზის ფორმა და ამ ეტაპზე შექმნილია ყველა პირობა ხარისხის კულტურის უწყვეტი განვითარებისათვის. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ვერიფიკაციის მექანიზმის მოქმედების არსებული პრაქტიკა, ხოლო კოლეჯის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ თავის საქმიანობას წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებაშიც განახორციელებენ აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად.
ამრიგად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღწევების შეფასების ინტრუქციაში გაწერილია შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესი და პროცედურები. მოდულური პროგრამების შეფასების მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრები) შენახვის ვადად განსაზღვრულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი. ექსპერტებმა ადგილზე გადაამოწმეს მოქმედი პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პირობები, რომელიც აღნიშნული წესის და პროცედურების შესაბამისად იყო გაფორმებული.
ამრიგად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის ვერიფიკაციის მექანიზმი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგების გამოყენებას მათი შემდგომი განვითარებისთვის. ასევე, დაწესებულება არსებული რეგულაციების შესაბამისად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რაც ასევე გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის. პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ შუალედური გამოცდის შედეგების შემდეგ რეკომენდაციებს მიიღებენ როგორც სტუდენტები, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებიც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯის მიერ შემუშავებული დოკუმენტებით გაწერილი აქტივობები გამოყენებული იქნება აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით.
ამრიგად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდზე განთავსებული 2019 წლის 25 ივლისის №01-02/139 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილებებით);
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღწევების შეფასების ინტრუქციის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის №01-02/196 ბრძანება;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №01-02/213 ბრძანებით დამტკიცებული შუალედური შეფასების წესი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

თარიღი 12.07.2023წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---